პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზნები

წინადებარე პოლიტიკის მიზანი და საფუძველია მონაცემთა სუბიექტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა და პატივისცემა, რომელიც ეფუძნება მონაცემთა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და საქართველოს კანონმდებლობას.

მონაცემთა დაცვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ბანკსა და მის შვილობილ კომპანიებში აუცილებელი პირობების დანერგვას. ხოლო, აფილირებული პირებთან და სხვა პარტნიორებთან მიმართებით, შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას. წინამდებარე პოლიტიკა უზრუნველყოფს საერთაშორისო, მათ შორის ევროპის კავშირის მონაცემთა დაცვის დირექტივებისა და საქართველოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულ დაცვის სტანდარტებსა და წესებს, რომელთა მიზანია პერსონალურ მონაცემთა სუბიექტების უფლებების ეფექტური დაცვა.

ბანკი იცავს ყველა მოქმედ კანონსა და რეგულაციას, რომელიც ჩვენ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხს ეხება.

წინამდებარე პოლიტიკა, შესაძლოა, დროდადრო განახლდეს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ მას გაეცნოთ რეგულარულად. წინამდებარე პოლიტიკის უახლესი ვერსია ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე.

მონაცემთა დამუშავების პრინციპები

მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისათვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად.

მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებულ უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება, სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება.

მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.

მონაცემები შეინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან /და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;

მონაცემთა დამუშავების საფუძველი

მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

- მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
  მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად);
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;
- მონაცემთა სუბიექტმა გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადა თავისი მონაცემები;
- მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ან/და არსებობს ინფორმაციის დამუშავების კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები;
- არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მისი თანხმობის საფუძველზე, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები

თქვენ უფლება გაქვთ:

- მიიღოთ ინფორმაცია იმ მონაცემების თაობაზე, რომელებიც თქვენზე მუშავდება, აგრეთვე მისი დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ; მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ; მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ ან საჭიროების შემთხვევაში ვადის განსაზღვის კრიტერიუმების თაობაზე და ა.შ.
- მოითხოვოთ თქვენ შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- მოითხოვოთ თქვენი მონაცემების დამუშავების დაბლოკვა, შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;
- ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა.
- მოითხოვოთ მონაცემთა გადატანის უფლება;
- შეგიძლიათ მოითხოვოთ, იმ მონაცემების ასლი, რომელსაც ვამუშავებთ;
- კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან /და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი ან თუ მის ვადას არ განსაზღვრავს დამუშავებაზე პასუხსიმგებელი პირი).

წყაროები, საიდანაც მოვიპოვებთ პერსონალურ მონაცემებს

ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემების მოპოვება შესაძლებელია ბანკისთვის თქვენ მიერ მოწოდებული წყაროებიდან ან/და ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

- ჩვენი პროდუქტებითა თუ მომსახურებით სარგებლობის პროცესში;
- სატელეფონო კომუნიკაციისას ან სერვისცენტრში ვიზიტისას;
- იყენებთ ჩვენს ვებგვერდს, მობილურ აპლიკაციასა და ონლაინ საკონსულტაციო ფუნქციონალს (ონლაინ ჩათს);
- გვიგზავნით წერილებს ფოსტით ან ელ. ფოსტით;
- ჩვენგან იწერთ სიახლეებს, გამაფრთხილებელ შეტყობინებებს ან სხვა მომსახურებებს;
- სხვა კანონიერი წყაროებით და საფუძვლებით;

სათანადო კანონიერი საფუძვლების არსებობოს შემთხვევაში, თქვენი მონაცემების შეგროვება შეიძლება განხორციელდეს ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, საკრედიტო-საინფორმციო ბიურო, სხვა ფინანსური ინსტიტუტები და სხვა.

როგორ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს

ბანკი თქვენს პერსონალურ მონაცემებს გამოიყენებს:

- საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად;
- ბანკის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც ბანკი ახორციელებს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო და ტრანზაქციების ისტორიების, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;
- ხელშეკრულებებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების უკეთ განსახორციელებლად;
- კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ინფორმაციის სახელმწიფო ან/და ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;
- ინფორმაციის გარე აუდიტორის ან კოლექტორისათვის გადასაცემად;
- სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების, მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;
- უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის გათვალისწინებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესასრულებლად;
- არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტის განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის;
- ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის სასურველ ან/და აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო ან/და ტრანზაქციული ისტორიის ან/და ქცევითი მახასიათებლების გადამოწმება წარმოადგენს;
- მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც ბანკის, ასევე სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას;
- ან/და სხვა კანონიერი საფუძვლებით.

უსაფრთხოების ზომები

ბანკმა დანერგა შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.

ასევე 2024 წლის 01 ივნისიდან ბანკში ამოქმედდება პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია განთავსდება ბანკის ვებგვერდზე.

პერსონალური მონაცემების დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის

პერსონალური მონაცემების მარკეტინგული მიზნებისთვის დამუშავების შედეგად, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შემოგთავაზოთ თქვენზე მორგებული პროდუქტები და შეთავაზებები. მარკეტინგის მიზნებისთვის დავამუშავებთ იმ ინფორმაციას, რომელსაც თავად გაგვიზიარებთ და რომელთა დამუშავებაზეც თანხმობას განაცხადებთ. თანხმობის გამოხმობა შეგეძლებათ ნებისმიერ დროს, იმავე ფორმით/არხით, რომლითაც მოხდა თანხმობის გაცემა ან ნებისმიერ სერვისცენტრში ვიზიტით ან მოგვწეროთ info off ნომერზე 90199.

მზა ჩანაწერები (Cookies)

Cookie (მზა-ჩანაწერები) არის მცირე ზომის ტექსტური ფაილი, რომელსაც თქვენი ბრაუზერი ან აპლიკაცია ინახავს თქვენსავე მოწყობილობაში (კომპიუტერში, სმარტფონში ან პლანშეტში). ეს ფაილები ეხმარება ვებგვერდს შეუფერხებელ ფუნქციონირებასა და ეფექტურობის გაუმჯობესებაში. Cookie ფაილების დახმარებით ხდება ვებ-გვერდის გამოყენებაზე დაკვირვება, მომხმარებლის გამოცდილების პერსონალიზება და ვებგვერდის გაუმჯობესება. ამასთანავე, Cookie ფაილებს ვიყენებთ თქვენს ინტერესებზე მორგებული მარკეტინგული შეთავაზებების მოსაწოდებლად.

ვის გადავცემთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

იმისათვის, რომ ბანკმა სრულად და ჯეროვნად განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის მომსახურება, ბანკმა შესაძლოა თქვენი პერსონალური მონაცემები გააზიაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვა ბანკებთან, საგადახდო სისტემის პროვაიდერებთან, იმ ორგანიზაციებთან, რომლებმაც უნდა მოგვაწოდონ თქვენს მიერ შერჩეული პროდუქტი თუ მომსახურება. თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარება შეიძლება დაგვჭირდეს იმ შემთხვევაში თუ თქვენ გაქვთ ბანკი ქართუს სადებეტო, საკრედიტო და ანგარიშსწორების ბარათები, ან იმყოფებით ბანკთან ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელიც იძლევა ამის გაკეთების შესაძლებლობას.

თუ ჩვენი ბანკის მომსახურებით სარგებლობთ, თქვენს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, თქვენი დახურული და ვადაგადაცილებული სესხების დეტალებს, ვაწვდით საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს. თუ თქვენ სარგებლობთ სესხით, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ასევე ვუზიარებთ ინფორმაციას, თუ როგორ იხდით სასესხო შენატანებს - დროულად და სრულად, თუ დაგვიანებით. სააგენტო, თავის მხრივ, ამ ინფორმაციას სხვა საფინანსო ინსტიტუტებს გაუზიარებს.

ბანკი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების არსებობისას, მესამე პირებს (მათ შორის და არამარტო, სახელმწიფო უწყებებს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, კოლექტორებს, პოტენციურ ცესიონერებს და სხვა პირებს) გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს, ბანკისთვის აუცილებელი, მონაცემთა სუბიექტის მონაცემები (მათ შორის პერსონალური მონაცემები).

სამართალდამცავ ორგანოებს მიეწოდება პერსონალური ინფორმაცია, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და რომლის მიზანია დანაშულის გამოძიება და პრევენცია.

ბანკს შესაძლებელია დასჭირდეს თქვენს შესახებ ინფორმაციის გადაცემა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სხვა კომპანიებისთვის და მომსახურების მიმწოდებლებზე. ეს იმ შემთხვევებშია საჭირო, თუ მომსახურების მიმწოდებლები იმყოფებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ და ამ შემთხვევაში ბანკი მოქმედებს საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

ასევე, მონაცემების გადაცემა შეიძლება განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებითაც.

ჩვენ ვიღებთ ყველა ზომას, რომ უზრუნველყოფილი იყოს პერსონალური მონაცემების დაცულობა.

რა ვადით ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

ბანკი უფლებამოსილია შეინახოს თქვენი პირადი მონაცემები თქვენი მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ, 15 წლამდე ვადით. თქვენი მონაცემების შენახვა შესაძლებელია 15 წელზე მეტი ვადით, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მონაცემთა წაშლის შესაძლებლობა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გამო.

ბანკი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, თანხმობის მიცემისა და გამოხმობის დრო და ფაქტი აღრიცხოს და შეინახოს პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში.

როგორ დაგვიკავშირდეთ?

იმ შემთხვევაში, თუ მოითხოვთ თქვენს მონაცემთა შესწორებას, განახლებას, დამატებას, დაბლოკვას, წაშლას, განადგურებას, შეგიძლიათ ეწვიოთ ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრს ან დარეკოთ შემდეგ ტელეფონის ნომერზე: * 8080, (032) 200 80 80.

პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის გაცემული თანხმობის გაუქმება/უარი შეგიძლიათ დააფიქსიროთ ჩვენს ნებისმიერ სერვისცენტრში ან მოგვწეროთ info off ნომერზე 90199.